საქართველოს პარლამენტის
აპარატის
იურიდიული დეპარტამენტი

თბილისი 0114, რუსთაველის გამზ. №8
ტელ: (995 32) 2281394
ელ. ფოსტა: legaldep@parliament.ge

საქართველოს პარლამენტი

LEGAL DEPARTMENT
OF STAFF OF
PARLIAMENT OF GEORGIA

8 Rustaveli Avenue, 0114,Tbilisi,Georgia,
(995 32) 2281394
e-mail: legaldep@parliament.ge

დ ა ს კ ვ ნ ა

საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილ საქართველოს კანონების პროექტებზე „საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“

საქართველოს პარლამენტის აპარატის იურიდიულმა დეპარტამენტმა განიხილა საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონების პროექტები „საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (№155/2-XIმ; 30.09.2025) და მათ მიმართ გააჩნია შემდეგი შენიშვნები:

I. „საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის მიმართ:

1. კანონის პროექტის მე-15 მუხლი განსაზღვრავს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტებს და პროგრამებს, რომლის მე-5 პუნქტშიც ნათქვამია „...2024 წელს მოსალოდნელია ბიუჯეტის დეფიციტის მშპ-ის 2.5%-ამდე შენარჩუნება, რაც 3%-იან ფისკალური წესით განსაზღვრულ ზღვარზე დაბალი მაჩვენებელია.“ ვინაიდან 2024 წელი უკვე გასულია „...2024 წელს მოსალოდნელ...“ რაიმე ფინანსურ შედეგზე 2026 წლის ბიუჯეტის პროექტში მითითება მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია.

არსებითად იგივე პრობლემის მატარებელია კანონის პროექტის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტში მოცემული ფრაზა „...თბილისიდან ბათუმამდე მაგისტრალის მშენებლობის მიზნით 2025 წელს დასრულდება...“, აგრეთვე მე-15 მუხლის მე-8 პუნქტში მოცემული ფრაზა „...2025 წელს დასრულდება ჭიათურისა და მესხეთის სახელმწიფო თეატრების, ქუთაისის მ. ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის შენობების რეაბილიტაცია“.

2. კანონის პროექტის მე-15 მუხლის 8.7 პუნქტში მოხსენიებულია „სმენადაქვეითებულ ბავშვთა რეაბილიტაციისა და ადაპტაციის ცენტრი“. აღნიშნული ჩანაწერი საჭიროებს დაზუსტებას და მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში არსებულ მონაცემებთან შესაბამისობაში მოყვანას კერძოდ, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 16 სექტემბრის #B19097960/3 გადაწყვეტილების შესაბამისად, ზემოაღნიშნულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს შეეცვალა საფირმო სახელწოდება და განისაზღვრა შემდეგნაირად -

„ბათუმის წმინდა პანტელეიმონ მკურნალის სახელობის ბაგა-ბაღი სტუდია სმენადაქვეითებულ ბავშვთა რეაბილიტაციისა და ადაპტაციისათვის“.

3. „საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის 26-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს მთავრობა უფლებამოსილი იქნება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წინადადებების საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღოს გადაწყვეტილება ამ კანონით მხარჯავი დაწესებულებებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებში გადატანის თაობაზე. მოცემულ ნორმასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს შემდეგი: მხარჯავი დაწესებულებისთვის გათვალისწინებული ასიგნებები, ისევე როგორც საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები განისაზღვრება საქართველოს კანონით, კერძოდ შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით. ამდენად, საქართველოს პარლამენტი კანონის მიღების გზით წყვეტს აღნიშნულ საკითხს. ამგვარ მიდგომას გვთავაზობს წარმოდგენილი კანონპროექტიც. შესაბამისად, სამართლებრივი მიზანშეწონილობის თვალსაზრისით, დამატებით მსჯელობას საჭიროებს საკითხი იმის შესახებ, საქართველოს კანონით მოწესრიგებული საკითხი სხვაგვარად უნდა მოაწესრიგოს თუ არა საქართველოს მთავრობამ ნორმატიული აქტების იერარქიაში საქართველოს კანონზე უფრო დაბლა მდგომი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მეშვეობით. მიუხედავად იმისა, რომ სწორედ წარმოდგენილი კანონპროექტი ითვალისწინებს საქართველოს მთავრობის მიერ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას, მიგვაჩნია, რომ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმატიული აქტთა ურთიერთმიმართებისა და იერარქიის პრინციპებიდან გამომდინარე, საქართველოს კანონით მოწესრიგებული საკითხის სხვაგვარი მოწესრიგება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით მიზანშეწონილი არ არის.

მსგავსი შინაარსის შენიშვნა ვრცელდება „საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის 26-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის მიმართ, რომლის მიხედვით საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში შეზღუდოს საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებულ პირებზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ჯილდოს და დანამატის გაცემა.

4. კანონის პროექტი დასახვეწია იურიდიული ტექნიკისა და რედაქციული თვალსაზრისით.

II. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის მიმართ:

1. კანონის პროექტის პირველი მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარმოდგენილია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 114^5 მუხლის პირველი ნაწილის ახალი რედაქცია, რომლის თანახმადაც გათანაბრებითი ტრანსფერის სისტემიდან დამატებული ღირებულების გადასახადის განაწილების სისტემაზე გადასვლის გარდამავალი პერიოდი განისაზღვრება 2019 წლიდან 2026 წლამდე. ვინაიდან „საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი 2026 წელს ითვალისწინებს გათანაბრებითი ტრანსფერების განხორციელებას მუნიციპალიტეტებისთვის, მიზანშეწონილად მიგვაჩნია გარდამავალი პერიოდის ხანგძლივობა 2027 წლამდე ვადით განისაზღვროს.

2. კანონის პროექტის პირველი მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით წარმოდგენილია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 114^5 მუხლს 7^2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის ახალი რედაქცია, რომლებშიც მითითებულია ამავე მუხლის მე-5 ნაწილით

განსაზღვრულ შეზღუდვაზე. ვინაიდან პროექტით წარმოდგენილი საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 114^5 მუხლის მე-5 ნაწილი არანაირ შეზღუდვას არ აწესებს და იგი მხოლოდ მითითებას აკეთებს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონზე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია გასწორდეს საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 114^5 მუხლის 7^2 ნაწილში მითითებითი ხასიათის ჩანაწერი.

3. კანონის პროექტი დასახვეწია იურიდიული ტექნიკისა და რედაქციული თვალსაზრისით.

ალექსანდრე ტაბატაძე
დეპარტამენტის უფროსი

შემსრულებელი: გიორგი მეტრეველი (მთავარი სპეციალისტი)